

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

**ხელის-გოწმარა** მიიღება კანტორაში. ბარეშე მკობრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Дრობა“.

**ბაზმის უასი:** მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარ წლი-სა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება გარეთუღს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**უასი განცხადებისა:** ღირსი უს-გებით ასობე—1 კაპ., ასო-მთავრულით ხტრიკონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციის უფლება** აქვს გაას-წოროს და შეამოკლოს დასაშვებთ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**სტამბოლი, 24 აპრილს.** ბურგასში გამოვიდნენ ახალი რუსის ჯარები.

შეკირ-ფაშა ამ კვირას დამლევს წავა პეტერბურღში.

**პენა, 24 აპრილს.** მარნიდამ სტამბოლში მიდის რამდენიმე ატრაადი ოსმალოს ჯარისა.

**კამბურღი, 25 აპრილს.** ღღეს მიდის სტამბოლში ახალი რუსეთის ელჩი ლობახოვი-როსტოვსკი.

აკუტრ სომხების ეკლესიაში იყო წირვა იმ სომხების სულის მოსახსენებელად, რომელნიც ბრძოლის ველზე დაიხოცნენ; ოსმალოს სომხების დღევ-გატმა არხივისკოპოსმა ხორენ-ნარ-ბე-იმ სწირა; ამ წირვაზე დაესწრო გრუფი ლორის-მელიქოვი.

**ნიუ-იორკი, 24 აპრილს.** ძანადის თავდასახმელად ემზადებიან (?)

**სტამბოლი, 24 აპრილს.** შეკირ-ფაშა 1 მაისს მიდის პეტერბურღში. შეეკეთ-ფაშა ჰერცოგოვიხაში იყოფი ოსმალოს ჯარის უფროსად არის დანიშნული.

**ლონდონი, 26 აპრილს.** ბრაფ შუელოვს ამ კვირაში მოვლიან პეტერბურღში, სადაც ორ კვირაზე მეტს არ დაჰყოფს.

რუსეთსა და ინგლისს შუა მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა.

## საქართველო

ქრება ბანკის თაობაზე

სხდომა 25 აპრილს

ბუშინ, 25-ს აპრილს, გაიხნა რიცხვით მეოთხე საზოგადო კრება ოფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამწესებ-ლებისა. სულ 60 კაცამდინ მოგროვ-და.

პირველად წაიკითხეს წარსული 1877 წლის ბანკის შემოსალ-გასავლის ანგარი-ში; ქართველ თავად-აზნაურობამ, მომე-ტებულ ნაწილმა უსწავლელმა და სოფ-ლიდამ ჩამოსულმა, ამ რუსულად წაკით-ხულის ანგარიშიდამ თითქმის სულ ვერა გაიგეს-რა და, რასაკვირველია, ხმა-აძო-ულებელად მიიღეს, დაამტკიცეს.

შემდეგ ილაპარაკეს წესდების ზო-გიერთ მუხლების შეცვლაზედ. მართა ვილამაც განაცხადა, რომ ამ საგანს ბევ-რი მოთქერება ეჭირებოდა და ამიტომ დაგვირიგეთ ყველა ეს ახალი ცვლილე-ბა, წაიკითხათ და ჩვენს ჰაზრს მერე გამოვთქვამთ. მსეც მიიღეს.

ხანგრძლივი ლაპარაკი ჩამოვარდა იმ თავად-აზნაურთა ბანკში მონაწილეთ ჩარიცხვაზე, რომელთაც იმ თავით ფუ-ლი არ შემოუტანიათ ბანკის თანხის შესადგენელად. პრებამ გადაწყვიტა, რომ ამ თავად-აზნაურთა უნდა შემოიტანონ, ერთად ან დრო-გამოშვებით, ერთი მე-ოთხედი ნაწილი იმ ფულისა, რომელიც იმათ გლენების განთავისუფლებაში მი-ღებული ფულიდამ ბანკისთვის უნდა შემოეტანათ.

ამის შემდეგ შეუდგნენ ერთი დირექ-ტორის (თ. ალ. ჩოლაყაშვილის მაგიე-რის) და ზეღამედველი პრეზიდენტის ორი წევრის (თ. რ. ანდრონიკოვისა და თ. პ. ბებუთოვის მაგიერის) ბანკის დირექტო-რად ისევ თ. ა. ჩოლაყაშვილი და ზე-ღამედველ პრეზიდენტის წევრებად: თ. მ. მ. ორბელიანი და მ. დ. თულაშვილი

შველაზე უფრო ჩვენ გავაკვირვა ერთ-მა ამ პრების გადაწყვეტილებამ: რომ ის 10,000 მანეთი, რომელიც ბანკს დარჩენია შარშანდელი შემოსავლიდამ „საზოგადო საქიროების“ დასაკმაყოფი-ლებელად, რომ ეს ფული დღეს ხელ-უხლებელად დასტოვეს! მართომ ცოტა არისო, ჯერ მოგროვდეს, სარგებელი მოიტანოსო და მერე მოვიხმაროთ!

ზანა, მართლა, ჩვენ არა გვაქვს ათა-სი ისეთი დაუყოვნებელი და აუცილე-ბელი საქირება, რომ ფული გვეკონდეს, შევიანხოთ და იმ საქირებათა დაკმა-ყოფილება არ გვეშურებოდეს? ზანა, მარ-თლა, დღეს არ გვეჭირება ჩვენ ფული, რომ სარგებლით უნდა შევიტანოთ სა-დმე ბანკში?

მერ გავგივიდა...

### თფილისის თავად-აზნაურობის უკმაყოფილებრივი კრება

სხდომა 26 აპრილს

ბუშინ დილით, 26-ს, ბანკის სად-გომშივე იყო უჩვეულებრივი სხდომა ოფილისის ლუბერნიის თავად-აზნაურო-ბისა სხვა-დასხვა საგნებზე მოსალაპა-რაკებელად.

პირველად მოილაპარაკეს თ. ივანე

(ნუშკო) სუმბათოვის წინადადებაზედ: სთხოვონ მთავრობას, რომ ის ფული (მანეთზედ თითო კაპეიკი), რომელიც გამიჯენისათვის არის დანიშნული და რომელსაც გირაოს მოწმობის ლების დროს ახდენენებენ ერთად ათი წლისას, ნუ გადახდენენებენ, რადგან ფული კანონით ათს წელზედ არის განაწილებუ-ლი.

პრებამ მიიღო თ. ი. სუმბათოვის წი-ნადადება.

მიიღო აგრეთვე მეორე წინადადება ამავე თ. სუმბათოვისა, რომ იზუამდგო-მლონ ნამესტნიკთან მამულების გამიჯ-ენის დაჩქარებაზედ.

შემდეგ ოფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილემ (თ. დ. სუმბა-თოვმა) წარმოუდგინა კრებას თხოვნა ზოგიერთ თავად-აზნაურებისა, პრებამ იზუამდგომლოს ნამესტნიკთანაო, რომ დატოვონ თ. პრეზიდენტი ამილანოვი, რომელსაც სასამართლო პალატამ ბო-რის პრესტავის უფ. მამაცაშვილის წი-ნამდევობისთვის, როდესაც ეს თავის სამსახურის მოვალეობას ასრულებდა, ციმბირში დასახლება გადაუწყვიტა.

პრებამ ერთხმად მიიღო ეს თხოვნა. იყო მეორე და მესამეც ამგვარივე თხოვნა პატრობის თაობაზე, ერთი თ. დ. მაჩაბ-ლისა და მეორე თ. პიკო ჩოლაყაშვი-ლისა. მაგრამ კრებამ გამოაცხადა სურ-ვილი, რომ ამათვის არ იზუამდგოლოს. პიკო ჩოლაყაშვილმა ჩინებული სიტყვა წარმოსთქვა ამ საგანზედ მოლაპარაკე-ბის დროს. იმან თქვა, რომ ვმადლობ თაველ-აზნაურობას ამგვარი თანაგრძნო-ბის განცხადებისთვისო, მაგრამ მე იმედი არა მაქვს, რომ მაპატიონო, რადგან ჩემი საქმე სულ სხვანაირი საქმეაო: მე მტარეალობისათვის, ცოლის წამებისთვის დამსაჯეს, კანონმა დამტკიცა და ჩემი საქმე გათავებულაო; ამის გამო მეწი-ნიან თავად-აზნაურობა არ შეიკრებს უარის მიღებით, და ნუ შეწყუბნებით ჩემთვისაო.

ციმბირისაკენ რკინის რკინითე-ბაო, სთქვა ბოლოს პიკო ჩოლაყაშვილ-მა; იქ წასვლა ისე ძნელი აღარ არის ახლა. თუ მოვეკუთვნი და თუ ხასიათი გავისწორე, თქვენ იქილამაც მოგივით ეს სასამართლო ამბავი და, უეჭველათ, გია-მებათ თქვენი მოძმის გასწორებაც თუ არა, თუ იქაც რამ დავაშავე, მაშუებს დამ კიდევ აქვეთვენ გამოგზავსოლო; სასჯელად და ამნაირად არ მხოლოდ თხევასში თქვენი თხოვნამათი, ჩვენ არის...“

ამ თავად-ზნაურთა საზოგადო კრებაზე დღეს კიდევ ჩამოვარდა ლაპარაკი იმ საგნის შესახებ, რომ მივიღოთ ბანკის წევრებად ის პირნი, რომელთაც იმ თავით არ დაუტოვებიათ ბანკის თანხისათვის ჯეროვანი (5%) ფული.

მ. დ. ვით ავალოვმა წარმოსთქვა ამ საგანზე ენერგიული სიტყვა, რომელშიაც გამოაცხადა, რომ რადგან ჩვენს კრებებს მუდამ წელს აქვთ ამაზედ სჯა, რადგან რასაც ერთ კრებაზე ვადგენთ, მეორე კრებაზე ამას ვარღვევთ და შემდეგ კრებაზე ამასაც უარყვით, ისევე ის სჯობიანო, რომ კრებაზე ამ საგნის შესახებ სჯა სულ ნუ იქნება, ზედამხედველი კომიტეტი მივანდოთ და იმან მიიღოს ისაღი წევრები იმ პირობით, რომ შემოიტანონ სხვებისაგან შემოტანილის მეოთხედი და ან კიდევ უფრო მეტს უნდა იქნება, ვისაც არ შეძლიან არც იმია შემოიტანა.

პრეზიუმე ერთ-ხმით დათანხმდა თ. დ. ავალიშვილის წინადადებას.

შეველანე უფრო მომტეხული ყურადღების ღირსი საგანი დღეს დღეს სხდომაზე იყო ის, რომელსაც თ. ნაპოლეონ ამატუნომ ჩამოავდო ლაპარაკი.

მ. ამატუნომ შეიტანა კრებაში წინადადება, რომ, რადგან ამ მოკლე ხანში უნდა გადაწყდეს ოფილისიდან ბაქოში გასაყვანი რკინის გზის საქმე, რადგან განზრახვა არის, რომ ეს გზა პარანაზე და მლისაყურთაოლზე, და არა ძახეთზე, უნდა გაიყვანონ, რადგან ამ გზას ძახეთისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება, ამას გამო თავად-ზნაურთა ითხოვოს, რომ ბაქო-ოფილისის რკინის გზა ძახეთზე გაიყვანონ.

ზნაურთა პირველი მნიშვნელობა აქვს ამჟამად ჩვენთვის, სთქვა თ. ნაპ. ამატუნომ. მუდამ არ გვექნება ძახეთის ჩინებული მოსავალი თითქმის დაღუბა, გამოუსადეგარი იქნება ხალხისათვის, იქაური ღვინის მწარმოებლები მუდამ სირაჯების ხელში იქნებიან ჩაცვიფრულნი და სხვ.

თავად-ზნაურთა კრებამ დიდს აღტაცებით მიიღო ეს გონივრული წინადადებათ ნ. ამატუნისა და ამასთანავე იმისივე წინადადებით ამოარჩია კომისია, რომელმანც ეს საგანი უნდა განიხილოს და დაამტკიცოს—თუ რა მხრით იქნება თვის მთავრობისათვისაც ძახეთზე რკინის გზის გაყვანა საარგებლო. ამ კომისიის წევრებად არჩეულნი არიან: პ. მ. მამაცაშვილი, თ. ილია შავჭავჭავიძე, თ. ნაპ. ამატუნო, თ. დიმ. ჯორჯაძე, თ. ისე ადამისძე ანდრონიკაშვილი, თ. ძოსტე. ბებუთოვი და უფ. ნ. ნიკოლაძე.

ამას გარდა ამოარჩიეს დეპუტაცია, რომელმანც უნდა მოახდინოს თავად-ზნაურთა წარუდგინოს ეს თავად-ზნაურთა მხარისაგან: თ. ბრ. დიმ. მარტოვილი, თ. ალ. შავჭავჭავიძე, თ. ზაქ. მთელიანი, თ. ივ. ამილახვარი, თ. ივ. შავჭავჭავიძე და თ.

ივანე მუხრანსკი. შემდეგ ყველა ამ გადაწყვეტილებების თაობაზე შეადგინეს პროტოკოლები, რომლებსაც თავად-ზნაურთაპ ხელი მოაწერა და კრება დაიხურა.

### ჩვენი გაჭირება (წერილი იმერეთიდან)

ამ აპრილის 26 რიცხვისთვის მოწოდებულია მუთაისს აქაური საადგილ-მამულთა ბანკის მონაწილეთა საზოგადო, წლიური, კრება.

სხვა-და-სხვა განსახილველ და საზოგადოებისაგან გადაწყვეტ საგნებ შორის, რომელიც განვითარებით მოხსენებულია გამოცხადებაში, იქნება ის ძირფასი საგანიც—თუ როგორ და რაზედ უნდა მოვიხმაროთ ის 12,000 მანეთი—წლიურის წმინდა სარგებლის ნახევარი—რომელიც აუცილებელ საზოგადო საჭიროებასათვის არის დანიშნული.

ამ საგანზე, უჩველია, ბევრი სხვა-და-სხვა ჰაზრები გამოცხადდება ჩვენში; ბევრს ასწევინ და დასწევინ; გაამართება ერთი ხელის კნევა, ერთი „იქ“ და „უიქ“ მაგრამ ეჭვი არ არის, ბოლოს მაინც შესაფერი და საკეთილო გადაწყვეტილება მიეცემა ამას, ე. ი. გამოიკვლივა ჩვენს საზოგადოებას რა საგანში უფრო დიდი საჭიროება ადგია, სად უფრო ძლიერი საჭიროება აწუხებს, და ეცდებიან იქ მიმართონ წყნებულ მისაშველებელ ღონისძიებითა...

მრთი-ორიოდე სიჩყვითა მეც მინდა წარმოვსთქვა ჩემი ჰაზრი ამ საგანზედ:

ჩვენს იმერეთში მხოლოდ ორი საშუალება არის თავი ირჩინოს კაცია: ან თონს უნდა მოჰკიდოს ხელი, ან წიგნს—სწავლას. სხვა-და-სხვა გარემოების ძალით, თონი მეტად მძიმე, მეტად უბრალო და აუტანელი საქმე დარჩა ჩვენში. შეველა შეწუხებულია და წელში განზრდილი, ვისაც თავის იმედათ თონი გაუხდია და, რასაკვირველია, ამის გამო დიდი და პატარა ყველა სწავლასა და განათლებას ეშუაობა; ყველას ისა აქვს ფიქრად და საზრუნველად, რომ ისწავლოს, კაცი გამოვიდეს, თონი აიცილოს თავიდან...

მაგრამ სწავლასა და განათლებას მუთაისში ცხოვრება სჭარაა, რადგან მართა აქ იბრუნება სასწავლებელი, და აქ ცხოვრებას კი დიდი ხარჯი უნდება, რომლის შეძლება ბევრს არა აქვს.

ვინ არ იცის—თუ რა შესაბრალოს მდგომარეობაში არიან შორი-ახლოდგან მუთაისში სასწავლებლად მოსული ყმაწვილები? ბევრს მათგანს თავის-შესაფარებელი ბინა არა აქვს, ზოგი ქონში დგას საწყლად და უპატრონოდ, ზოგი დუქანში და ვინ იკია—რომელ სამიკიტნოში!

აი ამათ ბინა, სახლი უნდა თავის შესაფერებელი, ზვიდამ რომ წვიმა არ აწუხებდეს და გვერდებიდან ქარი და სიცხვე ჩვენი სუსტი მოზარდი ახალგაზრდა ვეღარ უძლებს შიმშილსა და შიმ-

ველ-ტიტვლობასთან უსახლ-კარობასაც. რიგინი ბინა ბევრნი არიან წინ წასწევს ჩვენი ყმაწვილების საქმეს. მაშინ ყრველგვარი მზრუნველობა, და ყურადღება, შესახებ მათის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, უფრო შესაძლებელი და მოსახერხებელი იქნება იმათთვის, ვისაც ჩვენი მომავალი თაობისთვის გული შესტკივა.

მართალია, სხვაც ბევრგვარი საჭიროება გვადგია \*); მაგრამ ამაზედ უფრო ძლიერი და სასწრაფო დასაქმავოლოებელი საჭიროება დღეს ჩვენში, მეტონია, სხვა არა იყოს-რა.

ბანკის დაარება ჩვენში თავ-და-პირველადე განსაკუთრებითი განზრახვითიე მოხდა, რომ ჩვენს შეილებს სწავლაში შექმნება აღმოჩენილა. „ეს რაღაც ბანკო ყოფილა—შვილებს გაგვიზღოსო.“ მაქანდით მაშინ და დიდის კმაყოფილებით იწირავდით ბანკის დასაუფუნებელად მოთხოვნალ შესაწირავსა.

მაშადადამე, სამართალი მოითხოვს, რომ პირველი ბანკისაგან მოკვებული მანეთი ისე იმარე განზრახვას მოხმარდეს, და არათუ მართა მოკვებული, სიმართლით ყველა ის დანარჩენი თავისუფალი ფულიცა, რომლის განკარგულების ნება აქვს საზოგადო კრებას და რომელიც შეადგენს 34 ათას მანეთზე მეტს.

როგორც ჰხედავთ, კარგა-ძალი ფული დგება და სახლიც შეიძლება ჩინებული ამიწდეს.

ამასთან ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მიმნაზისის ჩახლობლად აღვიღალ შეიძლება იმ სახლისათვის მშვიდნიერა ადგილი ვიშოვნოთ სრულიად მუქთადა..

შეთახი, 25 აპრილს

### დღიური

\* \* \* პეტერბურგიდან მოვიდა ამბავი, რომ მ. ი. შ. დიდი ძნაყენა ანასტასია მიხაილისასული დანიშნულა დიდქერცვად მეკლენბურჯ-შვერინსკიზედ.

\* \* \* მუციკალური გაზეთი „ბაქაზი“ გვაცნობებს, რომ ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ლენ.-ლიეტენანტი დ. ს. სჯაროსელსკი დაუშტკიცებიათ ამ თანამდებობაში.

\* \* \* ამბობენ, რომ სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე სენატორი ი. პ. სტარიციკი მალე მიატოვებს ამ თანამდებობას და იქნება ნამესტნიკის განკარგულებაში ბაქასის გამიჯნის სახელმძღვანელო. ამბობენ აგრეთვე, რომ იმის მოადგილეთ, სამოსამართლო პალატის თავმჯდომარეთ თ. იასე ადამის ძის ანდრონიკაშვილს ნიშნავენო.

მრთიკ კიდევ ამგვარივე ახალი ამბავი. ბაქასის არმიის საინტენდანტოს უფროსად შულმანის მაგივრად

\*) „დროება“, 1877, ოქტომბრის 29.

ინიშნება ღენ. ლიმანოვსკი.

\* \* \* ჩვენ შევიტყუეთ, რომ გამოჩენილი ავაზაკი ტატო წულუკიძე, რომლისგანაც ერთ დროს ოფილისის მშვიდობიან მოქალაქეთა ანგელოზები დაფთხობილი ჰყავდათ, დაუჭირავეთ შოადიკავკასში, აქილამ ოფილისში გამოუგზავნიათ, რადგან მომეტებული ნაწილი დინამაულობა იმას აქ ჩაუდენია, და ახლა მეტეხში არის დაჭერილი.

\* \* \* ღღეს, 26 აპრილს, მუზრანთან ხიდზე უფალი ძა. უმომეს (ქალაქის ფანრების მოიჯარადრეს) დაეცნენ თავს რამდენიმე ავაზაკები, რომელნიც, როგორც ამბობენ, ჩინოვნიკის ტანისამოსში იყვნენ გადაცმულნი. ავაზაკებმა შეამტკრიეს უფ. ძა. უმომესის სახლის კარები, დასტრეს თვითონ ძა. უმომესი, იმის მოურავი და ერთი ოთხი თვის ბავში, წაიღეს ორი საათი, ორი დამაზა, ხმალი და სხვა. და გაიქცნენ.

ამ დროს მეორე უბედურება მოხდა: ასასი ვაიქცა თურმე ნავთის კანტორაში მუშების მოსაყვანათ; ავაზაკებს ესროლათ თოფი იმ მუშისთვის და იქვე წაეჭკიათ; სანამ საავათმყოფოში მიიყვანდნენ, ასასი კიდევ მოკვდა.

უფ. ძა. უმომესი ისე ძლიერ არის თურმე ჩვეოლვერით დაჭრილი, რომ არ მორჩება; პატარა ბავშვს ხელის თათები აქვს დაჭრილი.

\* \* \* ხვალ, 28-ს აპრილს, ოფილისის საზაფხულო თეატრში სოჭის სცენის მოყვარენი არდგენენ უფ. ბ. სუნდუკიანისგან გადაკეთებულ მოლლიერის სამ მოქმედებიან კომედიას „შორჟ ღანდენს“, რომლის შემოსავალი უფ. აშერიკიანის სისარგებლოდ არის დანიშნული.

# ოქის აზებუი

**ღმომტიაა**, წარტის. 28-ს („ღროების“ კორრესპონდენცია). როგორც ამას წინაშედ გამოგზავნილის კორრესპონდენციიდანაც სცნობდით, ჩვენ, ე. ი. ძავეკასიის ბრიგადა, ქ. სოჭის ალბის შემდეგ, გავეყვანეთ სხვა-და-სხვა გზით ოსმალეების საძებნელათ: ოსების დივიზიონით თვით ჩვენი ატრადის უფროსი ღენერალი ბურკო წაიდა ქ. იხციმანისაკენ, შუბანის პოლკი ღენერალ ვენიამინოვსკიმ წაიყვანა ქ. სამაკოვისკენ და ჩვენ შლოდიკავკასისა ვიყავით სხვა-და-სხვა გზით წასულნი ქ. რადომირისკენ. და როდესაც გამოვიკვლიეთ ოსმალეების ჯარის ქ. ღუნიცის გზით წასვლა—ჭუმაისკენ, შემდეგ დავბრუნდით ისევე უკან ქ. სოჭიაში და მესამე ღღეს გავემგზავრეთ კვლად წინ შესაგრებლათ ჩვენს ატრადთან.

31 დეკემბერს სოჭილამ გამოვედით და მივედით ს. ბორნი-ლოზოვოში; 1 იანვარს ქ. სამაკოვში ვიღღესასწაულეთ ახალი წელიწადი. ამ სამაკოვთან ჩვენი ჯარი წამოაწყოლა თურმე ოსმა-

ლებსა და რაკო ოსმალეებს აღარ შესძლებოდათ გამაგრება და შოლიპოლილიდამაც გზის მოჭრისა ჰშინებოდათ, ამისათვის ძალიან გონივრულათ მოქცეულიყვნენ; მოახდინეს ტყუილი შერიგება, ვითომც სულთანის ბრძანებით, და ამ სახით მოგვიტყუეს ორი ღენერალი ვენიამინოვსკი და ჩერვენი; თვით ოსმალს ფაშაც გადმოვიდა ჩვენს ღენერლებთან თავისი შედგენილი ტყუილის ტელეგრამით და ლაზათიანათ თურმე შეზარხოშდენ; შემდეგ გამოესალმა და იმ ღამესვე გააპარა თავისი ჯარი სამაკოვილამ და მით უშველა თავის თავსა.

მეორე ღღეს „ჩვენებმა“ ბევრი „ახ!“ იძახეს თურმე, მაგრამ გვიან-ღა იყო!

3-ს ს. ღოლნი-ბანოში ჩაველით; 4-ს მოველით ს. მარგარაში; 5-ს ქ. მათარ-ბაზარჯოში, რომლის საუკეთესო ნაწილი გადამწვარი იყო ოსმალეებისაგან; 6-ს მოველით ქ. შოლიპოლოში; აქ ცოტათ შემაგრებულოყვნენ ოსმალეები, მაგრამ ჩქარა მიეტოვებინათ ზარაზნები, ბარგი-ბარხანა და ამ სახით გაიფანტნენ თურმე მთაში, ზოგი მაკედონიის სამზღერისკენ, ზოგი სხვა გზით და უკანასკნელად უნდა შეკრებილოყვნენ სხვა-და-სხვა ალაგას ზღვის ნაპირს.

7-ს აველით მთის ძირას ს. ღედმენ-ღერეში და აქ შევიკრიბენით მთლათ ჩვენი დაქსაქული ბრიგადა; 10-ს ვიყავით ს. ტაპტალიში (ტაპოლე); 11-ს დავბრუნდით უკან და მოველით ქ. სტანიშაკში იმ განზრახვით, რომ დაქსაქულ ოსმალეების კვალს უნდა გავყვეთ უკან სადამდისაც შესაძლებელი იქნება; 12-ს დილით, ოთხი სოტნა შუბანის ყაზახები გაემგზავრნენ აღრიანოპოლისაკენ და დანარჩენებმა ოსებთანათ გამოუღქქით ოსმალეების კვალს მთაში; ერთი კვირის წინათ იყვნენ წასულნი; იმ ღამეს მდინარე ჩეველ-ღერესის ხეობაში ს. ბანკოვის თაეში, ბურჯი (ქართველთ) მღვთის-მშობლის მონასტრის შენობაში დაესღქქით; აქ ოსმალს ჯარსაც ამოველოთ, მაგრამ ბერებს კარებები დაეკეტნათ ზღუდისა და არ შეეშვათ, ოსმალეებსაც მეტი ძალა ვეღარ დაეტანებინათ, რადგანაც უკანდამ ჩვენი მღვერობისა ეშინოდათ და ამის გამო გადარჩა მონასტერი შეურყეველი; ამ მონასტრის ისტორიას შემდეგ მოგახსენებთ. 13-ს მოველით ს. ნარეჩენში; 14-ს ს. პავლოვსკში; 16-ს ს. ჩაპალარში; აქ ჯანდაც-დაცვიენულ ოსმალს ჯარს წამოვსწვდით, რომელთაც მივანიჭეთ თავისუფლება, რომ მიქცეულიყვნენ თავ-თავიანთ ოჯახობაში; მაგრამ რომელიც ჩვენ ბულგარების დრუქინა აგვედენა თავიანთისავე სარდლით (ეოვეოდა) და წითელი ხელსახოცის ნავლეჯის აღმით (ბაირალით), ამათ ბევრი დახოცეს, ვიდრე ჩვენ დაუშლიდათ, რომ ავათყოფ-დაცვიენულებსთვის ხელი არ ეხლოთ, არამედ სულგრძელობა და კაცთ-მოყვარეობა აღმოჩინათ მათთვის და სამაგიეროთ „სისხლი სისხლით არ დაებანათ!...“

17-ს მოველით სოფ. ჩოტაქა მდინარე შარა-ღერის ხეობაშია ქ. ჩამდველს რასის მახლობლათ; აქ ჩამდველსალქვეით ჯარს წამოვსწვდით და სოფელს გარეთ გარებზედ შეგვექნა გახურებული სროლა; რადგანაც ცხენ-და-ცხენ ვერას გავენდობდით უგზობობის გამო, ამისათვის დავიქვეითეთ და ისე შეუტყვეთ; ჯერ კი გავვიმაგრდნენ, შემდეგ იბრუნეს ოსმალეებმა პირი და გაიქცნენ, გადაუჭრით გზა და ასამდის ტყვე დაგვრჩა დახოცილებიც ბლომათ ეყარნენ, ბაირალიც წაერთვით და ამ სახით დავაზარალეთ, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ყაზახი დაგვიჭრეს. აქა სხენებულნი ოსმალს ტყვეები ჩვენს ბულგარიის დრუქინას (ბრატულშეებს) ჩავაბარეთ, მაგრამ ჩვენი დარჩება ყურში არ შეუშვეს და ბლომათ შეემკირებინათ ტყვეების რიცხვი და ვინც-ღა გადარჩნენ, თავისუფლება მივანიჭეთ. 19-ს მოველით ს. ღერი-ღერეში მდინარე ღერი-ღერის ხეობაში. აქ ბულგარების დრუქინაც და გზაში მოკრეფული ოსმალს ტყვეებიც თავ-თავიანთ სახლებში დავითხოვეთ.

მ. სტანისამაკილამ მოკიდებული ვიდრე ამ ს. ღერი-ღერემდის ისეთი საძაგელი გზა გვექონდა, რომ ათიღამ-თხუთმეტი ვერსის სიგრეზედ ვიყავით გაჭიმული და თითო ცხენის მეტი ვერ ეტეოდა ბილიკზედ; ბევრი ცხენები გადავიცივდნენ ხრამში, ორას ცხენამდის დაგვიკოჭლდა ხორკლიანი და მჭრელი ქვიანი გზის გამო, ამ რიცხვიღამ ბევრ ცხენებსაც თავი მივანებეთ, რადგანაც სრულგზით სიარული აღარ შეეძლოთ.

მრთის სიტყვით, თუმცა ამ ომიანობაში არც ერთს ცხენოსანს ჯარს ჩვენოდენა ჯაფა და წანწალი არ გამოუვლია, მაგრამ ამისთანა ენით გამოუთქმელი ჯაფა და შეჭირვება სრულგზით არ გვიანხავს და არც არავის გარდაჰხედა. ასი ნაბიჯი არ გვიანხავს ეაკე გზა, სულტიანი, ქანჩახები, ხორკლი, სიპი, გაყინული აღმართები და დაღმართები, ალაგს გაუქვალავი თოვლი ორ არში-ნამდის, ქარიშხალი, ტლაპო და სხვა მრავალი უშველგებელი. მტერი რომ მძლავრად დაგვხდომოდა ჩვენ, ერთიც ვერ გადავრჩებოდით, რადგანაც არც უკან დახვევა შეიძლებოდა გზის გამოისობით (ცხენს ვერ მოაბრუნებდა კაცი), მარჯვნივ თვალ-უწოდმელი ტინიანი მთა იყო და მარცხნივ თვალ-ჩაუწოდმელი კლდე; ალაგს ერთი ცხენის ფეხი ვერა თავსდებოდა ხოლომე ბილიკში. მაგრამ განგებამ არ გაგვეჩირა და ოსმალეები ბევრგან ვერა სარგებლობდნენ ამ გვარ შემხტევებით; ამის გამო ჩვენც დიდის რიხით და სიამაყით მივსდიოდით წიან.

20-ს იანვარს მოველით ს. ადაკოში; 21-ს ს. პოშიკავკაში; 22-ს ს. კაბააჩ-არნაუტ-ძიუში მდინარე ძიხალ-ღერესის ხეობაშია; აქ ცხენოსან ბაშიბუზუყებს შევხვდით შეგვექნა მკირედი სროლა; მაგრამ ჩქარა გავგვექცნენ და მხოლოდ ერთი ცოცხალი დაგვრჩა იმათი, ჩვენ ზარალი არ მოგვეცემია სრულგზით. 24-ს ს. ჩევერდეკლეში მოველით; 25-ს ს.

მანდრიცაში და 26-ს ს. პატიკიუში ქ. დემოტიკის ახლოს.

აქ შევიტყუეთ, რომ ნამდვილი შერიგება მოუხდენიათ, რომი 15-ს იანვრიდამ შემწყდარა და ჩვენ კი ამისთანა კლდეებზედ გარეული თხებივით დავბობლამდით. აბა აქ უნდა გვეყოლოდა მხატვარი, რომ სანატრელს სურათებს დახატავდა ჩვენის მღვერობიდამაცა და ადგილობრივი ბუნების სიმშვენიერიდამაც; მაგრამ რომელი ოხერი მხატვარი გახდებოდა ყაბუღს ჩვენთან ხეტიალსა!...

ჩვენ თურმე გამოტყობული ვყვანდით მთავრობასა და ხმაც ისე იყო დაფენილი, რომ სრულებით აღარ ვსულდგმულვით, ვითომც მოგვემწყვდევს ოხმალებმა და მთლიათ შეგვეყარეს; მაგრამ ყოჩაღათა ვართ.

მ. სტანიშაკში რომ ოთხი სოტნაშუბანისა დავსტოვეთ, ისინი ქ. პალისმერაში ჩასულან მარმარილოს ზღვის პირას და ჩვენსას ამბობენ, რომ ვითომც ჩვენც წინ წავალთ და ქ. როდოსტოში ვიდგებით დრომდის.

არ ვიცით ამ შერიგების შემდეგ რამთენეს ხანს გაგაჩერებენ აქა და ანუ როგორ ხასიათს მიიღებს ან შერიგება, ან სხვა დაფარული აზრები ზოგიერთ სახელმწიფოების შორის და ანუ თანახმანი გახდებიან სხვა სახელმწიფოები რუსეთის მოთხოვნილებას და კონტრბუტციას, თუ არა. შევლა ეს ღმერთმა უწყის...

ბ. ბრემელი

### განცხადებანი

გამოვიდა და ისეიღვა

„სოლი ვიტირო, თუ ფული?“

ქამედია ალ. თუთაევისა ისეიღვა: ძალ აქში—ყველა წიგნის მალაზიებში და ალექს ჯიმშეროვ-

თან, თელავს—იოსებ პუზანაშვილთან, ძარელს—ღვით შეროზაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის უჭეტში, სურამს — ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს— იაკობ მჭანველიანთან და სვ. ცერვაძესთან ფოთში — მლისბარ ბაბლოვთან, ცხინვალს — თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს — თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრის ხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ზორში—სტ. ზომოცვთან და თვითონ ავტორთან.

დაიბეჭდა და ისეიღვა თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში:

### ბატონისუვილი

ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება მართვალთა მამოცემული ზაქარია შიჭინაძისაგან. ფასი მჰმსი შაური

#### ქუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისეიღვა:

- 1) დედა მნა, ი ბოგებაშვილისა, ფასი 45
- 2) ანუკა ბატონისუვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩელოვისა ფასი 20 კ.
- 3) სოლი ვიტირო, თუ ფული? ქამედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაბ.
- 4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაბ.
- 5) მეფე ლირი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაბ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

თფილისის ძალაქას საავთმყოფო ამათ აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს თავის შეიღებს ყვავილი აუტრას, შეუძ-

ლიან მიმართოს საავთმყოფოში რჩევათობითა და პარასკობით. დილისათი საათიდან შუადღემდონ. საქსუცხამ ყვავილს ექიმის ხელმძღვანელობით.

წარიბებს მუქთად აუტრიან ყვავილს და ვისაც შეუძლიან, ექვსი შაური უნდა შეიტანონ.

(5-5)

### ახალი წიგნი

„სოლი თუ გინდათ, მს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდელო მასილი აბაშიძისა

ისეიღვა: თფილისში—მართანოვის წიგნის მალაზიაში.

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

### ტყავის ქარხანა თფილისში

დამოქნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირდაპირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლად ექირებათ, რომ ამ ქარხანაში კეთდება და გუდაგ მოიკოვება დაგზადებული ყოველგვარი ტყავი წაღებისთვის, უნაზიკისა, კარკიტის და ფაბრიკებისა, ჩამკვებისა ლანჩა და სხვ.

წარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტონრაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუქვეთოს და გაუყეთებენ. წერილ-წერილად ამ ქარხანის საქონელი ისეიღვა მალაზიაში, სიონის პირდაპირ.

(25-15)

რ.პ. ზ.ზ.ა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ბალეზრაში	მ. კაბ	მაზანდა	მან კაბ	თფილისის სამაჰრანალო
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 12 აპრილს		მრეწვის მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, ფოთს	1	ფე. თ. ბანჯისა, ფო.	2	ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8—10 მდინ.
ზორი	11 58	9 43	2 40	1 33	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	50	შევილი წითელი	1 60	მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს. მინკევიჩი—ხირუ-
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	პეტერბურგს, შარშავას	2	შერი ფუთი	1 40	რგი, ლისიცივი—შინაგ. ავთმყოფ.
სურამი	1 44		4 42	2 46	მსხალეთში, შევიცარიაში	3	ბაზა მრეწვისა, ფუთი	7 20	სამშაბათს: მერმიშვილი და მარქა-
შერილი	5 49		5 81	3 23	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	—აგროკისა, ფუთი	8 50	შინაგ. ავთმყოფობის, თვალის.
რსონი	6 47		6 75	3 75	ინგლისში	3 75	გაპენტილი ბაზა ფუთი.	10	სამშაბათს: მერმიშვილი და მარქა-
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ფოთი		მატული ფუთური ფო.	6 50	მარქაროვი—შინაგ. ავთმყოფობის,
ახ.-სენაკი	—	—	8 57	4 76	ფოთი		—თარაქამისა ფო.	3 50	თამაშევი—თვალის.
ფოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		აბრეშუმი ნუბური სტ.	2	მ. თ. შ. ბ. ა. თ. ს. ლისიცივი—ში-
ფოთი	9 13		1 18	66	მ. ზურ.—პარასკ. და ორშ. ძანეთს—სამშ. და შაბ.		ქონი, ფუთი.	6	წაგანი ავთმყოფ, ქიურარიაცი—ვე-
სამტრედია	11 16		2 6	1 14	თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. ზურგეთს—		ქონის ხანთელი ფუთი.	8	ნუთ შაბათს: მერმიშვილი—შინა-
რიონი	12 13		3 4	1 69	ორშ. და პარასკ.		სტეარინის ხანთელი, ფ.	13 20	განი ავთმყოფობისათვის.
შერილი	1 18	ლაშე	3 98	2 21	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ.		ხორცი ძროხისა, ლიტ.	99	პარასკევს: ლისიცივი და მარქა-
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ლა წიგნის	4	—ცხვრისა, ლიტრა.	90	ტუროვი—შინაგ. ავთმყოფ. და მინ-
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	დაბეჭდილის (საში მისხალი)	8	სპირტი, ვედრო.	5 20	კევიჩი—ხირურგ.
ზორი	7 5	4 8	7 36	4 9			შაქარი, ბროც. ფუთი.	8 80	შაბათს: მერმიშვილი და მარქა-
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4			—ფხვნილი ფუთი.	6 20	როვი—შინაგანი ავთმყოფობის, ქიურ-
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42			ქავა გრგვალი, გრგ.	70	ქიურარიაცი—ყურის და ხირურგიულ
							შეთი ქუნჯულისა ფუთი.	12	ავთმყოფ. და თამაშევი—თვალის.
							თამაშევი, საშუალო ფუთი	8 50	